

პირველადი დახმარება

1-8 წლამდე ბავშვებში



გახსოვდეთ!

➤თუ ბავშვს გული უცემს ,მკერდის ძვალზე ზეწოლა არ არის საჭირო: ამან შეიძლება გამოიწვიოს გულის გჩერება.

➤თუ ეჭვი გაქვთ, რომ ბავშვს დაზიანებული აქვს ხერხემალი, როდესაც იკვლევთ ბავშვი სუნთქავს თუ არა, არ გაანძრიოთ ბავშვის თავი და კისერი!



1

იმისათვის, რომ დარწმუნდეთ ბავშვი გონზე თუ არა, ფრთხილად შეარხიეთ იგი დაუძახეთ სახელი.



თუ ბავშვი არ რეაგირებს დამახეზაზე მაშინ, ხელით ძლიერად დაუკავეთ თავი და კისერი ისე რომ არ მოვხაროთ წელში, დააწვინეთ ბავშვი ნაგარ ზედაპირზე სახით ზემოთ და გაუმიშვლეთ მკერდი.





2

იმისთვის, რომ გავათავისუფლოთ სასუნთქი გზები გადავარდნილი ენისგან, წამოუწიეთ ბავშვს ნიკაპი და გადაუწიეთ თავი უკან.

თუ ეჭვი გაგიჩნდათ ხერხემლის ტრავმაზე, გამოუწიეთ ქვედა ყბა წინ, ისე რომ არ ამოძრავთ ბავშვის თავი და კისერი. ბავშვს პირი უნდა ჰქონდეს ღია..





3

დაიხარეთ ბავშვის ტავისკენ და ყური მიუტანეთ პირთან, რომ გაიგოთ ბავშვის სუნთქვა და დააკვირდით, მოძრაობს თუ არა ბავშვის გულმკერდი. ამაზე დახარჯეთ მაქსიმუმ 5 წამი.



თუ ბავშვი არ სუნთქავს, დაიწყეთ ხელოვნური სუნთქვა, ისე რომ არ შეცვალოთ ბავშვის თავის მდებარეობა, ცერი და საჩვენებელი თითებით მოუჭირეთ ცხვირზე და მჭიდროდ მიადეთ თქვენი პირი ბავშვის პირს.

გააკეთეთ 2 ნელი სრული ჩაბერვა, მათ შორის გააკეთეთ პაუზა.





4

თუ გულმკერდი ჩაბერვების შემდეგ არ ამოძრავდა, შეცვალეთ ბავშვის თავის მდებარეობა და გააკეთეთ კიდევ 2 ჩაბერვა.



იმ შემთხვევაში, თუ ჩაბერვების შემდეგ გულმკერდი ამოძრავდა, მოძებნეთ თითებით კისრის გვერდით მხარეს, ჩალმავებაში საძილე არტერია და 5-10 წამის განმავლობაში ეცადეთ შეიგრძნოთ პულსი.





5

თუ პულსი არის გააგრძელეთ ხელოვნური სუნთქვა , 1 ჩაბერვა ყოველ 4 წამში. ყოველი 15 ჩაბერვის შემდეგ შეამოწმეთ პულსი. 1 წუთის შემდეგ გამოუძახეთ სამაშველო ან სასწრაფო დახმარებას. შემდეგ გააგრძელეთ ხელოვნური სუნთქვა პულსის კონტროლით.



თუ პულსი არ არის, დაიწყეთ გულის არაპირდაპირი მასაჟი. ბავშვის თავის მდებარეობის შეუცვლელად, ხელისგულის გამოწეული ნაწილი დააჭირეთ მკერდის ძვალზე 5-ჯერ ისე,რომ მკერდის ძვალი ყოველ ჯერზე ჩაიწიოს 2,5-4 სმ-ით.





6

მონაცვლეობით გააკეთეთ 1 ჩაბერვა და 5 დაჭერა მკერდის ძვალზე.

გაიმეორეთ აღნიშნული კომპლექსი 10-ჯერ.

გაიმეორეთ აღნიშნული ქმედებები პულსის გაჩენამდე ან სამედიცინო დახმარების მოსვლამდე.

